



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 4 მაისი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
3. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
4. მარიკა ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. ნანუკა კეზევაძე - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
7. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
8. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
9. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
10. ონისე ზივზივაძე - ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია

### განსახილველი საკითხები:

- ასოციაციების დღის წესრიგის შესაბამისად მეორე სამუშაო ჯგუფის სტრატეგიის განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

- ინფორმაციის გაზიარება ქვეჯგუფების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით
- სხვა საკითხები

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა, ნინო ელიზბარაშვილმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის ჩატარების მიმართულებები განსაზღვრა.

პირველ საკითხად ქალბატონმა ნინომ ყურადღება გაამახვილა ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფის მიერ გასული წლის საქმიანობის შედეგებზე, მან სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილ საზოგადოებას დეტალურად გააცნო ის შედეგები, რომელსაც საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიაღწია. ჯგუფის კოორდინატორმა პუნქტობრივად გაიარა გასული წლის სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებები, საქმიანობა, პრეზენტაციები და შემუშავებული წინადადებები. გასული წლის საქმიანობის შეჯამების შემდეგ ჯგუფის წევრებს მოუწოდა რომ მოხდეს ახალი სამოქმედო გეგმის ერთობლივად შემუშავება.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ, ისაუბრა იმ მიმართულებებზე, რომლებიც მისი შეხედულებით მნიშვნელოვანია რომ ჩაიდოს მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში. მან დეტალურად განიხილა ევროკავშირის მიერ შემუშავებული ბოლო დირექტივები, სამოქალაქო საზიგადოების ფორუმის სამოქმედო გეგმა და ასევე 2020 ხელშეკრულების ის პრიორიტეტები, რომლებიც პირდაპირ ეხება მეორე ჯგუფის საქმიანობას და რომელზეც ამ ჯგუფმა შეიძლება იმუშაოს მომავალში.

მნიშვნელოვანი განხილვა დაეთმო ქვეჯგუფების საკითხს მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. გამართული დიალოგების შედეგად სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილი დამსწრე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ქვეჯგუფები შემდეგი მიმართულებით:

1. ფინანსური ხელმისაწვდომობა - ქვეჯგუფის კოორდინატორი - კონსტანტინე ჟღენტი
2. ციფრული ბაზრების შესახებ მომუშავე ქვეჯგუფი - კოორდინატორი - დავით ცისკარიძე
3. მცირე და საშუალო ბიზნესი - ქვეჯგუფის კოორდინატორი - თენგიზ სვანიძე
4. სურსათის უვნებლობა და ვაჭრობა - მიმდინარეობს ქვეჯგუფის კოორდინატორის შერჩევა.
5. სოფლის მეურნეობის ქვეჯგუფის განახლება - მარიამ ჯორჯაძე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე